# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 72/1

ქ. თბილისი „17“ „ოქტომბერი“ 2014 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“, შემდგომში „მიმწოდებელი“, მისი დირექტორის გ. ჩიგოგიძის სახით და მეორეს მხრივ

სსიპ ქ. თბილისის N72 საჯარო სკოლის

დირ. [illegible]

შემდგომში „მყიდველი“, ვადგენთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## ხელშეკრულების პირობები:

1. *მყიდველი კისრულობს ვალდებულებას:*

ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოადგინოს შეკვეთა მიმწოდებლის პრაის-ლისტის შესაბამისად.

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, წინასწარი ან შემდგომი გადახდით.

შემდგომი გადახდის პირობით მედიკამენტების გაცემისას (ურთიერთშეთანხმებით), გადაუხადოს მედიკამენტების საფასური მიმწოდებელს სასაქონლო ზედნადებზე მითითებულ დროში. ლარის კურსის ცვლილების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოახდინოს საკურსო სხვაობის გათვალისწინებით, აშშ დოლართან ლარის გადახდის დღისათვის მიმწოდებელთან არსებული კურსის მიხედვით.

მედიკამენტების მიმწოდებლისგან მიღების დროს მათი ვარგისიანობა და რაოდენობა შეამოწმოს ადგილზე.

2. *მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:*

ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე დროულად მიაწოდოს მყიდველს შესაბამისი რაოდენობისა და დასახელების მედიკამენტები, რომელთა ხარისხის სერთიფიკატები ინახება მიმწოდებელთან.

მყიდველთან შეთანხმებით უზრუნველყოს მედიკამენტების მყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე მიტანა და ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება გადადის მყიდველზე, მიუხედავად იმისა, მან თავისი ხელმოწერით დაადასტურა თუ არა მედიკამენტების მიღება.

3. ფინანსური ფასდაკლება მოხდება ინდივიდუალურად ურთიერთშეთანხმებით, რომელიც დაფიქსირდება სასაქონლო ზედნადებზე.
4. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად ითვლება სასაქონლო ზედნადები, რომელიც გამოწერილია ამ ხელშეკრულების საფუძველზე.
5. მხარეებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
6. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, ვიდრე რომელიმე მხარე არ განაცხადებს სურვილს წერილობით მისი გაუქმების შესახებ.

## რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“

მისამართი: ქ.თბილისი,

კოსტავას ქ.№11

ტელ: 99-67-71;

ს/ნ 203834075

ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა – **GE62BG0000000126681500**

დირექტორი:

/გ. ჩიგოგიძე/

პასუხისმგებელი პირი:

/ /

„მყიდველი“

სსიპ. ქ. თბილისის N72 საჯ. სკოლა

მის: ვაჟა-ფშაველას N2

ტელ: 275-35-60

ს/ნ 204422696

ბანკი: ლიბერთი

ბანკის კოდი: LBERTGE22

ა/ა : GE32LB0121180433930000

„მყიდველი“

/